

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული საკითხების ევროსაბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის 2006/112/EC დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საგადასახადო კოდექსში დაგეგმილია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დღგ-ის მარეგულირებელ ყველა დებულებას, რის გამოც შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის „კარი VII“, სრულად ყალიბდება ახალი რედაქციით.

კანონპროექტი ახლებურად არეგულებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა ამოქმედება დაგეგმილია 2020 წლის 1 იანვრიდან. იმის გამო, რომ ცვლილებათა პაკეტი საკმაოდ მოცულობითია, მისი დეტალური ანალიზი შემოთავაზებული იქნება აგვისტოს თვის მიმოხილვაში.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

სამოქალაქო კოდექსში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები

საქართველოს პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით იქნა მიღებული „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ცვლილებები მასთან ასოცირებულ სხვა საკანონმდებლო აქტებში. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებებიდან საინტერესოა არასრულწლოვნის საკუთრების უფლების

გასხვისებაზე სასამართლო კონტროლის დაწესება, ისევე როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა სრულწლოვანების ასაკით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლს ემატება მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც „თუ მოთხოვნა წარმოიშვა პირის არასრულწლოვნობის პერიოდში და გამომდინარეობს მის მიმართ განხორციელებული სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობისგან, ხანდაზმულობა იწყება პირის სრულწლოვნობის მიღწევის მომენტიდან“. რაც შეეხება არასრულწლოვნის საკუთრების უფლების გასხვისებას უძრავ და მოძრავ ნივთებზე (რომლის ღირებულება აღემატება 1000 ლარს), დგინდება, რომ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის უძრავი ან მოძრავი ნივთის განკარგვა დასაშვებია სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. ამასთანავე სასამართლოს თანხმობის გაცემისთვის უმთავრეს კრიტერიუმად მითითებულია ასეთი განკარგვით ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.

ბავშვის საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით სასამართლოს როლის შემოღების გამო, შესაბამისი ცვლილებები დგინდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც. ცვლილებათა მიხედვით დგინდება, რომ პროცესში მონაწილე სუბიექტები - მოსამართლეები, ადვოკატები, სოციალური მუშაკები ან არასრულწლოვანის საჭიროებების გათვალისწინებით პროცესში მოწვეული სხვა პირები უნდა იყონ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებათაგან მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

მიერ საკანონმდებლო წინადადების წესით წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც დგინდება არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განსჯადობის საკითხი. იმის გამო, რომ არბიტრაჟთა უმეტესობა მდებარეობს ქ. თბილისში, რაც საქმეთა უმრავლესობის თავმოყრას იწვევს სწორედ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საკანონმდებლო წინადადების მიხედვით სააპელაციო სასამართლოს ქვემდებარე საარბიტრაჟო საქმეების განხილვა მოხდება არა საარბიტრაჟო განხილვის ადგილმდებარეობის მიხედვით, არამედ საარბიტრაჟო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით. ამით დაგეგმილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს განტვირთვა და საარბიტრაჟო საქმეთა განხილვისას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს როლის გაზრდა, რამაც უნდა დააჩქაროს საქმეთა განხილვა.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, დგინდება, რომ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებზე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ წესებთან ერთად ვრცელდება სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი დებულებებიც. ის, თუ რა შეზღუდვები დგინდება ამ უკანასკნელი აქტით სამეწარმეო საზოგადოებაში არსებული წილების/აქციების გასხვისებასთან დაკავშირებით, განხილულია 2019 წლის მაისის თვის საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვაში.

სასამართლოს პრაქტიკა

საკონსტიტუციო გადაწყვეტილება

სასამართლოს

2019 წლის 4 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომელიც კრძალავდა პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსებას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ გამოყოფილი არ არის, თუკი მათი განთავსება ხდებოდა სპონტანურად და ხანმოკლე ვადით მესაკუთრის მიერ ან მისი თანხმობით კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტზე, ან საკრებულოს წევრის მიერ მისთვის სამუშაოდ გამოყოფილი სივრცის ფასადზე.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმა გამორიცხავდა სპონტანური პროტესტის პირობებში გამოხატვის შესაძლებლობას და არათანაზომიერად ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მიმდინარე, აქტუალური მოვლენების შესახებ მოსაზრების გამოხატვისას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულობას და პროტესტის ნებისმიერი დროით დაყოვნებამ, შესაძლოა, იმდენად შეამციროს მისი ეფექტურობა, რომ ფაქტობრივად აზრი დაუკარგოს მას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ამგვარი ინტენსიური შეზღუდვის საპირწონე ვერ იქნება ამა თუ იმ შენობა-ნაგებობის იერსახის ხანმოკლე, დროებითი სახეცვლილება. შესაბამისად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის შინაარსი, რომელიც კრძალავდა მესაკუთრის მიერ ან მესაკუთრის თანხმობით მის საკუთრებაში არსებულ ობიექტზე ბანერის, ლოზუნგის ან პლაკატის სპონტანური საპროტესტო აქციის ფარგლებში ხანმოკლე ვადით განთავსებას.

რაც შეეხება საკრებულოს წევრის მიერ მისთვის სამუშაოდ გამოყოფილი სივრცის ფასადზე პლაკატების, ლოზუნგების და ბანერების განთავსებას, სასამართლომ განმარტა, რომ საკრებულოს წევრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესი ვერ გადაწონის ადგილობრივი თვითმმართველობის მომეტებულ ინტერესს, რომ მისი ქონება არ იქნეს უნებართვოდ გამოყენებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის ეს შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.